



## **ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი**

**ამოცანა 3.2.4**

## ამოცანა 3.2.4. შინაგან საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმის გაძლიერება

ამოცანის შესრულების პროგრესი: 100%

ინდიკატორი: ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით განხორციელებული საქმიანობის ანგარიში

შეფასება:

უდაოდ მისასალმებელია ის ფაქტი, რომ შსს-მ მოახერხა ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის სახით. დადებითად უნდა აღინიშნოს სამომავლო გეგმები, რომელიც სამინისტრომ ჩვენი წერილის პასუხად მოგვწერა. კერძოდ, ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციული ნიშნით და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების მონიტორინგის შედეგად ხარვეზების იდენტიფიცირება, მათი აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა. ასეთი მიდგომა მკვეთრად გააუმჯობესებს გამოძიების ხარისხს და გაზრდის საზოგადოების ნდობას საგამოძიებო ორგანოების მიმართ.

### აქტივობა 3.2.4.1. შინაგან საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის შექმნა

#### პასუხისმგებელი უწყება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო

#### ინდიკატორი:

ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით განხორციელებული საქმიანობის ანგარიში

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2020-09-23

ბოლო ვადა: 2020-09-23

#### შეფასება

2018 წლის იანვარში შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ინსტიტუციური მექანიზმი - ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციული ნიშნით და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების მონიტორინგს ახორციელებს. დეპარტამენტი ასევე, უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული მიმართულებით ხარვეზების იდენტიფიცირებას, მათი აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავებას და პრაქტიკაში დანერგვას. ამასთანავე, გამოძიების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება ზემოაღნიშნული დანაშაულების გამოძიების მეთოდოლოგიის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა, ასევე მისი პერიოდული განახლება

საკანონმდებლო ცვლილებებისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით.

2019 წელს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მანდატი გაფართოვდა და იგი უკვე მოიცავს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა, ასევე, სისხლის სამართლის პოლიტიკის პრიორიტეტების გათვალისწინებით, სხვა დანაშაულთა გამოძიების ხარისხის მონიტორინგს მთელი საქართველოს მასშტაბით.<sup>[1]</sup>

---

<sup>[1]</sup> 2019 წლის 04 თებერვლის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N11